**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის**

**აღმასრულებელი საბჭოს**

**სხდომის ოქმი**

**სხდომის თარიღი: 30 ოქტომბერი, 2023**
**ადგილმდებარეობა: დისტანციურად (ელექტრონული ფოსტის გამოყენებით)**

**სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ია გაბედავა, თორნიკე ბაქრაძე, ციცინო ცხვედიანი, ტარიელ კაკაბაძე, რაისა ლიპარტელიანი, როინ მიგრიაული.**

**საკითხი 1.** ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

ნიკოლოზ მელაძის, მარიამ საგანელიძის, თეონა რუხაძის, ნენე გუგავაა, გიორგი გაბიტაშვილის, ირაკლი აბესაძის, საბა ხელაშვილის, ლევან ყველაშვილის, ბიჭიკო ლაშხიას, მარიამ მოდებაძის, ანა ტრაპაიძის, ადა კალანდაძის, დავით ჩიხლაძის, მაჰდი თავაზოჰი ახორეს, ნიკა ექონიას, თამაზ წიკლაურის, ლელა გოჩიტაშვილის, ანა წერეძიანის, სალომე მიქაუტაძის, სალომე არდოტელის და თამთა მჭედლიძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ

სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნიკოლოზ მელაძის, მარიამ საგანელიძის, თეონა რუხაძის, ნენე გუგავაა, გიორგი გაბიტაშვილის, ირაკლი აბესაძის, საბა ხელაშვილის, ლევან ყველაშვილის, ბიჭიკო ლაშხიას, მარიამ მოდებაძის, ანა ტრაპაიძის, ადა კალანდაძის, დავით ჩიხლაძის, მაჰდი თავაზოჰი ახორეს, ნიკა ექონიას, თამაზ წიკლაურის, ლელა გოჩიტაშვილის, ანა წერედიანის, სალომე მიქაუტაძის, სალომე არდოტელის და თამთა მჭედლიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

**დავით ასათიანი**

**თავმჯდომარე**